აბაშის მუნიციპალიტეტის

სუჯუნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. სუჯუნის ამომრჩევლებთან

კონსულტაციის

# ოქმი №7

აბაშა 2022 წლის 15 მარტი

2022 წლის 15 მარტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' $85^4$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №5 დადგენილების „აბაშის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ'' მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების "1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის "ა'' ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 თებერვლის № ბ10.10220556 ბრძანების საფუძველზე, ჩატარდა სოფ. სუჯუნის ამომრჩევლებთან კონსულტაცია (№63.19 საარჩევნო უბნის საზღვრებში) №63 აბაშის საარჩევნო ოლქის (30/09.2021)წ მონაცემებით სოფ. სუჯუნაში რეგისტრირებულია 875 ამომრჩეველი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით კონსულტაცია უფლებამოსილია თუ მას ესწრება დასახლების ტერიტორიაზე რეგისტრირებული არანაკლებ 100 ამომრჩეველი. კონსულტაციას ესწრებოდა დასახლებაში რეგისტრირებული 190 ამომრჩეველი.

კონსულტაციას თავმჯდომარეობდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დიმიტრი ცანავა, მდივანი მერის წარმომადგენელი სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულში ლაშა კუცია. კონსულტაციას ესწრებოდნენ მერის მოადგილე გიგა ჯვარელია, ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მირზა ქვილითაია, მუნიციპალური ინსპექციის განყოფილების უფროსი გია კუცია, მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი დათო თოფურია. საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ზურაბ მხეიძე.

დღის წესრიგი:

1. სანოდიოს უბანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზისა და სამატკაოს უბანში 1-ლი ჩიხის მოხრეშვითი სამუშაოები.

2. საკუციოს უბანში N3 ქუჩაზე მოხრეშვა და არხის ამოწმენდა 700 მ, დუტუ მეგრელის 1-ლი ჩიხის წყალსაწრეტი არხის ამოწმენდა.

3. სახოშტარიოს უბანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი მილ-ხიდის მოწყობა, არსებული მილ-ხიდით.

კონსულტაცია გახსნა და დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა დიმიტრი ცანავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალების მიზნით კანონმდებლობიდან გამომდინარე ტარდება დასახლებების საერთო კრებები და კონსულტაციები, ასევე სიტყვით გამოვიდნენ მერის მოადგილე გიგა ჯვარელია და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მირზა ქვილითაია, მათ ისაუბრეს ასევე კონსულტაციის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებე.

განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,'' ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები პრიორიტეტის მიხედვით

მოისმინეს:

1. სანოდიოს უბანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზისა და სამატკაოს უბანში 1-ლი ჩიხის მოხრეშვითი სამუშაოები.

2. საკუციოს უბანში N3 ქუჩაზე მოხრეშვა და არხის ამოწმენდა 700 მ, დუტუ მეგრელის 1-ლი ჩიხის წყალსაწრეტი არხის ამოწმენდა.

3. სახოშტარიოს უბანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი მილ-ხიდის მოწყობა, არსებული მილ-ხიდით.

/მომხს. მ. ქვილითაია/

მომხსენებელმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე.

კონსულტაციაზე მხარდაჭერილ და მოწონებულ იქნა წარმოდგენილი პროექტები.

კენჭისყრის შედეგები:

დამსწრე – 190 ამომრჩეველი.

მომხრე – 190

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს:

პრიორიტეტების მიხედვით პროექტების ჩამონათვალი

1. სანოდიოს უბანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზისა და სამატკაოს უბანში 1-ლი ჩიხის მოხრეშვითი სამუშაოები.

2. საკუციოს უბანში N3 ქუჩაზე მოხრეშვა და არხის ამოწმენდა 700 მ, დუტუ მეგრელის 1-ლი ჩიხის წყალსაწრეტი არხის ამოწმენდა.

3. სახოშტარიოს უბანში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი მილ-ხიდის მოწყობა, არსებული მილ-ხიდით.

(მხარდაჭერა დადასტურებულ იქნა შესაბამისი ხელმოწერებით, ოქმს თან ერთვის).

დასახლების კონსულტაციის თავმჯდომარე: დ. ცანავა

დასახლების კონსულტაციის მდივანი: ლ. კუცია